ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2032680

ნომერი: AR1320247

თარიღი : 30.06.2015

გაცემის თარიღი : 30.07.2015

გაცნობის თარიღი : 30.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისის , მე-3 ქუჩა N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აივენგო დემეტრაძე პ/ნ 01009008462
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 52 ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 20

ივნისს #AR1320247 განცხადებით მომართა აივენგო დემეტრაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, დელისის ქუჩა, მე–3 ქუჩა #7–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.14.15.001.119) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 13 მარტიდან 2013 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით. სამსახურის 2013 წლის 15 ნოემბრის #999427 გადაწყვეტილებით გაიცა დასკვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია ი.ბ.ა. ''დელისი 2007". 2013 წლის 04 იანვრის #AR1101477 განცხადებაზე ატვირთულია მინდობილობა, რომლითაც დამკვეთის – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დელისი 2007“–ს თავმჯდომარე მამუკა კონიაშვილი აივენგო დემეტრაძეს ანიჭებს უფლებამოსილებას იყოს ამხანაგობის წარმომადგენელი. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 1981.6 კვ.მ–ის ნაცვლად 1962.4 კვ.მ–ის, საოფისე ფართობად 46.1 კვ.მ–ის ნაცვლად 45.4 კვ.მ–ის, საზაფხულო ფართობად 196.2 კვ.მ–ის ნაცვლად 194.8 კვ.მ–ის, სარდაფის ფართობად 16.5 კვ.მ–ის ნაცვლად 16.2 კვ.მ–ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 237.8 კვ.მ–ის ნაცვლად 237.3 კვ.მ–ის, დამხმარე ფართობად 56.5 კვ.მ–ის ნაცვლად 56.4 კვ.მ–ის, ავტოსადგომის ფართობად 230.8 კვ.მ–ის ნაცვლად 229.4 კვ.მ–ის, ხოლო საერთო ფართობად 2785.9 კვ.მ–ის ნაცვლად 2762.3 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებაში, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1962.4 კვ.მ., საოფისე ფართობად 45.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 194.8 კვ.მ., სარდაფის ფართობად 16.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 237.3 კვ.მ., დამხმარე ფართობად 56.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 229.4 კვ.მ., საერთო ფართობად 2762.3 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.